№1133 2015 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ეროვნული სკრინინგ-ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დაფუძნებულმა არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა - ეროვნულმა სკრინინგ-ცენტრმა, „ონკოპრევენციის პროგრამის“ და „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ პროგრამის „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის მომსახურებაზე, მომსახურების მიწოდების უწყვეტობის პრინციპების დაცვით, სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2015 საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**